



თბილისის სააპელაციო სასამართლო
სასამართლო სხდომის
ოქმი

29 ნოემბერი, 2012 წელი

ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა
სხდომის თავმჯდომარე – ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი – თეა ტილინაშვილი

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“

წარმომადგენლები - ირაკლი მაჭარაშვილი, ირმა მახათაძე, ნინო გუჯარაძე
(აღმასრულებელი დირექტორი)

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

წარმომადგენლები - მამუკა ივანიაშვილი, ნანა ზამთარაძე

მესამე პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

წარმომადგენლები - დავით კუხიანიძე, გიორგი ბარქაია

მესამე პირი - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯი“

წარმომადგენლები - ლაშა უფლისაშვილი, ზურაბ ალავიძე (დირექტორი)

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება

სხდომა დაიწყო 16:05 საათზე.

სხდომა დამთავრდა 16:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს.

სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს პროცესის მზადყოფნის შესახებ მოსახსენებლად.

სხდომის მდივანი მოახსენებს:

პროცესზე მოწვეულ პირთაგან გამოცხადდნენ:

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ერთვის საქმეს) მისი წარმომადგენლები - ირმა მახათაძე (რწმუნებულება ერთვის საქმეს, საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის №3354) და ირაკლი მაჭარაშვილი (მინდობილობა ერთვის საქმეს, რომელიც დაერთო საქმეს).

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები - მამუკა ივანიშვილი, ნანა ზამთარაძე (ბრძანება №-287 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, ერთვის საქმეს).

მესამე პირის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლები - დავით კუხიანიძე და გიორგი ბარქაია (მინდობილობა ერთვის საქმეს)

მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ დირექტორი - ზურაბ ალავიძე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ერთვის საქმეს) და მისი წარმომადგენი - ლაშა უფლისაშვილი (რწმუნებულება ერთვის საქმეს ტ. I, ს.ფ. 248).

სხდომის თავმჯდომარე არკვევს გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-212-ე მუხლების შესაბამისად აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, აცხადებს სასამართლო შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე – ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი – თეა ტილინაშვილი

სხდომის თავმჯდომარე ეკითხება მხარეებს აცილება ხომ არ აქვთ სასამართლო კოლეგიის ან სხდომის მდივნის მიმართ?

მხარეებს სასამართლო კოლეგიის და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

საქმის განხილვა გრძელდება მტიცებულებების გამოკვლევის ეტაპიდან:



სხდომის თავმჯდომარე: სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით 2012 წლის 29 ნოემბერს აპელანტ ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლების ნინო გუჯარაიძის და ირაკლი მაჭარაშვილის მიერ წარმოდგენილი იქნა განცხადება თანდართული მტკიცებულებებით, შუამდგომლობით აღნიშნული მტკიცებულებების საქმეზე დართვის თაობაზე?

აპელანტ - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა ირაკლი მაჭარაშვილი პასუხობს: დიახ ვშუამდგომლობთ სასამართლოს წინაშე აღნიშნული მასალები დაერთოს საქმეს ახალი მტკიცებულების სახით.

აპელანტ - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა ირაკლი მაჭარაშვილის მიერ გამოქვეყნებული იქნა შუამდგომლობა რომელიც დაერთო საქმეს.

მხარეებს გადაეცათ სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით 2012 წლის 29 ნოემბერს აპელანტ ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და თანდართული მტკიცებულებები გასაცნობად.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე: თქვენი აზრით განსახილველ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას რა გავლენას მოახდენს აღნიშნული მტკიცებულებები?

აპელანტ - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა ირაკლი მაჭარაშვილი პასუხობს: აღნიშნული მტკიცებულებები ამყარებს ჩვენს პოზიციას, რომ საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობის შეთხვევაში შესაძლებელი იყო სხვანაირი გადაწყვეტილების მიღება და კანონის ის მუხლები რომელიც ჩვენ სარჩელში გვაქვს მითითებული, საშუალებას იძლევა ასეთი სახის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა იყოს უარყოფილი. 2003 წელს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საექსპერტო კომისიაში, რომლის თავმჯდომარეც იყო ჯემალ გაბეჩავა კომისიის შემადგენლობაში მეც ვიყავი.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე: ამ შემთხვევაში არ დარღვეულა საჯაროობის პრინციპი, რისი ვალდებულებაც მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდა, რომ განხორციელებინა და დაეცვა. გარდა ამისა აღნიშნული დასკვნის მომზადებისას იმ ნიუანსებზეა გამახვილებული ყურადღება რასაც ჩვენ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებით მივუთითებთ, დეტალურად უნდა ყოფილიყო შესწავლილი დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებელი ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობები რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა და ყოველივე ამან საბოლოოდ განაპირობა ის რომ სახეზე გვაქვს ეკოლოგიური ექსპერტიზის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი რომელიც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სხდომის თავმჯდომარე: ვინაიდან ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებები მოცულობითი არის, სააპელაციო პალატას მიზანშეწონილად მოაჩნია მხარეებს მისცეს დრო აღნიშნული მტკიცებულებების გასაცნობად და მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე: ტომი I, ს.ფ. 253, განთავსებული არის, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №44, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ სს „დარიალ ენერჯის“ მდინარე თერგზე 110 მვტ სიმძლავრის „დარიალი ჰესი“-ს ჰიდროელექტრო სადგურის განთავსების დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ, აღნიშნული ბრძანებით შექმნა საექსპერტო კომისია რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ თეიმურაზ ტბელიშვილი, ზურაბ დოლიძე, თენგიზ თენგიშვილი, თამარ გამგებელი, ნინო ობოლაშვილი, კახა რუხაია, თეონა ქარჩავა, ასევე 2011 წლის 28 ნოემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას ხელს აწერს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ ჭახნაკია. აღნიშნული პირები დღეის მდგომარეობით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები არიან?

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - ნანა ზამთარაძე პასუხობს: საექსპერტო კომისიის წევრები თეიმურაზ ტბელიშვილი, ზურაბ დოლიძე, თენგიზ თენგიშვილი, თამარ გამგებელი, ნინო ობოლაშვილი, კახა რუხაია და თეონა ქარჩავა, დღეის მდგომარეობითაც არიან საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები, ხოლო ნიკოლოზ ჭახნაკია სამინისტროს სისტემაში კი მუშაობს, მაგრამ სამინისტროს აპარატში არ ირიცხება.

სხდომის თავმჯდომარე: სააპელაციო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 204-ე მუხლის შესაბამისად მიზანშეწონილად მიაჩნია, 2011 წლის 28 ნოემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე მომუშავე საექსპერტო კომისიის წევრები: თეიმურაზ ტბელიშვილი, ზურაბ დოლიძე, თენგიზ თენგიშვილი, თამარ გამგებელი, ნინო ობოლაშვილი, კახა რუხაია, თეონა ქარჩავა და ნიკოლოზ ჭახნაკია მოწვეული უნდა იქნენ სასამართლო სხდომაზე და სასამართლომ გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით მიიღოს განმარტებები საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე.

სააპელაციო პალატამ ადგილზე თათბირით

დაადგინა:

1. სასამართლო სხდომაზე სპეციალისტის სახით მოწვეული იქნენ: თეიმურაზ ტბელიშვილი, ზურაბ დოლიძე, თენგიზ თენგიშვილი, თამარ გამგებელი, ნინო ობოლაშვილი, კახა რუხაია, თეონა ქარჩავა და ნიკოლოზ ჭახნაკია. აღნიშნული პირების სასამართლო სხდომაზე მოწვევის უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს.
2. საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - ნანა ზამთარაძე: ნიკოლოზ ჭახნაკიას გარდა, უზრუნველყოფთ შემდეგ სასამართლო

სხდომაზე აღნიშნული პირების წარმოდგენას.

სხდომის თავმჯდომარე: საკითხის სურლყოფილად გამოკვლევის მიზნით, თქვენი აზრით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ხომ არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით განსახილველ საქმეში ჩასაბმელ სუბიექტს?

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - მამუკა ივანიშვილი პასუხობს: მიგვაჩნია, რომ განსახილველი დავის საგანი გავლენას ვერ იქონიებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს უფლებებზე და მოვალეობებზე და მისი მესამე პირის სახით ჩაბმა არ არის აუცილებელი.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ნინო გუჯარაიძე: ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს რა პოზიცია ექნება განსახილველ დავასთან. მათი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველი დავა არ შედის.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე: მიმაჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინტერესებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები არ ეხება.

მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელი - ლაშა უფლისაშვილი: მიგვაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს არანაირი შემხებლობა არა აქვს.

მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ დირექტორი - ზურაბ ალაგიძე: ჰესზე მშენებლობა მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, ეს არის უზარმაზარი პროექტი რომლის მშენებლობაზეც მილიონები იხარჯება. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებით, მოგეხსენებათ მშენებლობის ნებართვა გაიცემა ეკოლოგიური დასკვნის საფუძველზე, ავტომატურად ინვესტორების მოთხოვნით სარჩელი შეტანილი იქნება ლონდონის არბიტრაჟში, რაც გათვალისწინებული ხელშეკრულებით რომელი გაფორმებული იქნა საქართველოს მთავრობასთან, ჩვენს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა იქნა შესრულებული. ეკოლოგიური ექსპერტიზის დაკვნის გაუქმების შემთხვევაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება. კომპანია დღევანდელი პროცესის მიმდინარეობითაც ზიანს განიცდის.

სხდომის თავმჯდომარე: დღეის მდგომარეობით ხომ არ არის შესაძლებელი შეიცვალოს ჰესის მშენებლობის პირობები?

მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ დირექტორი - ზურაბ ალაგიძე: გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში რამოდენიმე ვარიანტი იყო წარდგენილი და მათგან საუკეთესო იქნა შერჩეული, აღნიშნულ საკითხს როგორც ქართველი ასევე უცხოელი სპეციალისტები სწავლობდნენ, ჩატარებული იქნა დამოუკიდებელი ექსპერტიზა და დღეის

